

ჩემი პირადი:

ფილიპი, სისხლის მუხა, სთიპალ-  
კონსტანტინე პარკისა.

სელოს-მომწერნი გაზეთის დასაკეთად მიმართენ  
რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და  
სალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ.  
საზოგადოების“ წიგნის მალაზიას.

სელომუწერე წერილებს რედაქცია არ ვბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლე-  
ბა ყოველ-დღე.

ტელეფონი № 363.

# ფუნდამენტი

სოციალ-დემოკრატიული სახალხო გაზეთი

გაზეთის ფუნდამენტი

ერთი წლით 6 მან., ნახევარწლით 3 მან.

თითო ნაშენი 3 კაპეკა

ფასი განცხადებისა

გვერდობრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.

მეოთხეზე 4 კაპ.

Редакция

„ЦНОБИСЬ ПУРЦЕЛИ“

Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства

Телефонъ № 363



ამით უწყობს ქართველ ინტელიგენციას, რომ  
**სუთვაბათს, 23 აპრილს**  
წმ. გიორგის (ქვაშეთის) ეკლესიაში გარდახდით იქნება პან-  
შვიდი ქ. მინსკში გარდაცვალებულის

**გიორგი ქორაქიძის ქალადიდელის**  
სულის მოსახსენებლად. (5-2)

**ფოთის ქალაქის გაბეგობა**  
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 23 აპრილიდან ქალაქ ფოთში გა-  
იხსნება ავადმყოფთათვის

**ქალაქის სამკურნალო**  
ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ-დღე შემდეგი ექიმები:

კ. ა. მაჭაბერაძე — შუადღის 12 საათიდან 2 საათამდე  
ნ. ა. ტყეშელაშვილი — დილის 10 საათ. 12 საათამდე  
ლ. ს. ტყეშელაშვილი — საღამოს 4 1/2 საათ. 6 1/2 საათამდე

**ფასი თითო ჩაჩხისათვის 20 კაპ.**  
ღარიბთა და უმწეოთ, რომელთაც ქალაქის გამგეობა აძლევს ამისათვის  
განსაკუთრებულ ბილეთებს, სწამლობენ უსასყიდლოდ იქვე სამკურ-  
ნალოს აფთიაქიდან. (3-2)

გაოვიდა და ისყიდება  
„ცნ. ფურც.“-ს გამოცემა № 2

**თავ.**  
**ილ. ჭავჭავაძე**  
(წერილი ხალხისათვის)  
ხაიკვერელისა

ფასი 2 კაპ.

ასი ცალი იყიდება 1 მ. 30 კ.  
ორასი — — 2 მ. 20 კ.  
სამასი — — 3 მ.

მსურველნი მიმართავენ „ცნობის ფუ-  
რცელის“ რედაქციას.

**უბის წიგნი**  
ს უ ლ

**გაიყიდა**  
და ამიტომ რედაქციიდან ნუ-  
რავინ დაიკვეთავს.

სამკურნალო და ამბულატორია  
**ს. ბ. თოფურიასი**  
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-  
მყოფთათვის. მიიღებენ ავადმყოფ-  
ნი: შანაგანასა, სურგუბას, საქარუ-  
გა, თვალასა და დედათა ავადმყო-  
ფობისას.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მი-  
იღებენ.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11  
საათიდან ნაშუადღევს 3 საა-  
თამდე. შინაგან დაწერების ავად-

მყოფობას სწამლობს **ს. ბ. თო-  
ფურია**. საქარუგა ავადმყოფობას  
და სიფილისს **ფ. პ. შარაბაძე**.  
დედათა ავადმყოფობას მკურნალი  
ქალი **მ. თ. კობახი**.  
20 მაისიდან — დედათა ავადმყოფო-  
ბის და აკუშრობის **მ. ბა-  
ციანი**.  
თვალეების ავადმყოფობას — **ი. პ.  
შარაბაძე**.

ამბულატორიაში არის კაბინეტი,  
საექიმი და საბაქტერიოლოგია  
გამოკვლევებისათვის, ელექტრონი  
წამლობისათვისა და სპიისთვის.  
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თო-  
ფურია**.  
*Лечебница С. В. Тофурия въ Кутаисѣ.*

**ახალი ამბავი**

\* \* \* მთავარ-მართებლას მობრძა-  
ნება, კავკასიის მთავარ-მართებელი  
გ. ად. თავ. გ. ს. გოლიცინი 25  
აპრილს გამოემგზავრება ტფილი-  
სისაკენ. მთავარ-მართებელთან ერ-  
თად დაბრუნდებიან ყველა ის პი-  
რნი, რომელნიც გაგზავნილ იქმ-  
ნენ პეტერბურგს კანცელარიათან  
ერთად.

\* \* \* მღვდელ მონაზონა კარაო-  
ნა ანკაძის დარტყდა. გაზ. „მწყემ-  
სის“ სიტყვით, მღვდელ მონაზო-  
ნი კირონი ხელ დასხმულ იქმნე-  
ბა არქიმანდრიტად და დაინიშნე-  
ბა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინო-  
დის კანტორის წევრად.

\* \* \* საზოგადო კრება. 23 აპ-  
რილს სათავად-აზნაურთა ბანკის  
დარბაზში დანიშნულია „ტფილი-  
სის გუბერნიის მოსწავლეთა დამ-  
მარებელ თავდაზნაურთა საზო-  
გადოების“ წევრთა საზოგადო

კრება. ამ კრებაზე განხილულ იქ-  
მნება 1897 წლის ანგარიში, 1898  
წლის ხარჯთ-აღრიცხვა, გამგე კო-  
მიტეტის მოხსენება შესახებ მიწის  
შემდენისა და მასზე სათავად-აზნაუ-  
რო სკოლისთვის საკუთარი შე-  
ნობის აგებისა; ამასთანავე მოხდე-  
ბა გამგე კომიტეტის წევრთა არ-  
ჩევანები ოთხის წლის ვადით.

\* \* \* კანონმდებელი კრებისა  
წინააღმდეგობა. ამ უამარ შემდგენელ ვერა-  
ზე კავკასიის გრენადერის არტი-  
ლერიის ბრიგადის ორი ბატარეი-  
სათვის კაზარმების აშენებას.

\* \* \* ტფილისის ეკლესიის გუშინ  
სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ნება  
მოგვეცით ავწიოთ ნიხრი ძროხი-  
სა და ცხვრის ხორცზე.

\* \* \* სამოსწავლო კომისიამ სა-  
ქაროდ სცნო აგებულ იქმნეს თი-  
თოველ იმ სკოლისათვის, რომე-  
ლსაც ქალაქი ინახავს, ცალკე  
შენობა, სასკოლო პიგინის პი-  
რობების თანხმად. ამავ კომისი-  
ამ გადასწავლია განხილოს მასწა-  
ვლებელ კაცთა და ქალთა თხო-  
ვნები იმის შესახებ, რომ მიღებულ  
იქმნენ ისინი მასწავლებლებად  
ახლად დაარსებულ საქალაქო სკო-  
ლებში.

\* \* \* 50 ათასი მანეთის ქურდა.  
ეს ქურდი, რომელმაც მოიპარა  
50 ათასი მან. ტფილისის სახელ-  
მწიფო ბანკის მიერ ფოსთით იგ-  
დირის ხაზინაში გაგზავნილ პაკე-  
ტიდან, უკვე აღმოაჩინეს. ეს ქუ-  
რდობა ბრალდება გასულ თვეში  
შეპყრობილს ტფილისის ფოსტა-  
ტელეგრაფის კანტორის მოხელეს  
ო—ძეს. ამ დღეებში დამტკიცდა,  
რომ ო—ძეს მოუპარავს ფული,  
ჩაუდგია პატარა ყუთში, ჩაუკე-  
ტია და გადაუცია კ—ტივეისთ-  
ვის, რომელთანაც ო ძე დაახ-  
ლოვებული ყოფილა. რამდენიმე  
ხნის შემდეგ ო—ძეს მოუთხოვნია  
კ ისაგან ყუთი, რომელიც გაუ-  
ღია მის ბინაზე და უჩვენებია  
მისთვის ერთი გროვა ქალაქის  
ფული. კ. მიმხვდარა, ეს ფული  
ო—ძეს უკანონოდ აქვს ნაშო-  
ვნი, და მოუთხოვნია: ერთი ნა-  
წილი მე მომეცი, თორემ დაგაბე-  
ზღებ მთავრობასთანაო ო—ძეს  
მიუცია მისთვის 10 ათასი მან.  
და კ—ს უყიდნია ახალ გოლან-  
დიაში მიწა, აუშენებია ორ-სარ-  
თულიანი სახლი და არხენად და-  
ბინავებულა შიგ ქმართან ერთად.  
შეპყრობილი კ. გამოტყვილა ყვე-  
ლაფერში და უთქვამს, ო—ძეს  
ჩემთვის უჩუქებია ხოლმე სხვა და  
სხვა დროს სხვა და სხვა ძვირფასი  
საჩუქრებია, (ბრილიანტის ბეჭ-  
დები და სხ.), რომლებიც მე ჩემ  
ამხანაგ ქალს ზ—ეს მივბარე შე-  
სანახად. კ—ისა და ზ—ის გაჩ-

ბრეკამ დაამტკიცა ქალის ჩვენება.  
კოლ-ქმარი კ—ნი შეპყრობილ  
და დატუსაღებულ იქმნენ მეტე-  
ხის ციხეში. („ტფ. ფ.“).

\* \* \* ფოთის საქალაქო სამკურნა-  
ლო. როგორც მეთხველები ღლე-  
ვანდელის განცხადებიდან გაიგებენ  
ფოთში ამ თვის 23-დან დაიწყებს  
მოქმედებას საქალაქო სამკურნა-  
ლო, სადაც ჯერ-ჯერობით ექიმე-  
ბად მიწვეულ არიან ბ—ნი მიქაბე-  
რიძე, ტერ-ნიკოლოსოვი და ტერ-  
სტეფანოვი. რჩევისათვის სამკურ-  
ნალო ახდევინებს თითო აბაზს,  
ხოლო ღარიბთა და უმწეოთა სა-  
მკურნალო რჩევას მუქთად აძლევს  
და ზოგიერთს შემთხვევებში წა-  
მალსაც აძლევს სამკურნალოს  
აფთიაქიდან უსასყიდლოდ.

სიამოვნებით აღვნიშნავთ რა ამ  
კეთილ და ფრიად საქაროდ დაწე-  
სებულების დაარსებას ფოთში, არ  
შეგვიძლიან მადლობით არ მოვი-  
ხსენიოთ ქალაქის მოურავის ნიკო-  
ნიკოლაძის მოღვაწეობა, რომლის  
მეცადინეობით და აზრითაც არის  
დაარსებული ხსენებული სამკურ-  
ნალო. ვისურვებთ, რომ ეს ახლად  
დაწყებული სამკურნალო ახლო  
მომავალში გარდაქცეულ იყოს  
დიდს სამკურნალოდ მრავალის  
ლოგინებით ავად მყოფთა ქსენო-  
ნად, რომელიც მეტის მეტად სა-  
ქაროა ფოთისა თუ იმ მხარე სა-  
მეგრელოსათვის.

\* \* \* სასურველი ხელთ ნაწერის  
მოძიება. ძველად ქართულის ძველს  
მწიგნობრობაში, დიდი ადგილი  
ეკავა ქართველთა გმირების ქებათ  
დაწერილს დიდს პოემად „საგანე  
გმირთა“—ს. ეს ვრცელი პოემა ძვე-  
ლადვე დაუწერია ვიღაც ქართველ  
უცნობ ბერს. წიგნმა მოაღწია ამ  
საუკუნემდის, 1830 წლებში. იგი  
პ. იოსელიანსაც უნახავს და წაუ-  
კითხავს. დღეს კი ამ ხელთ ნაწე-  
რის არსად რა მოიპოვება.

სანატრელი კია, რომ ამ ძველს  
საუნჯეს ჩვენის უმრავლესობისა-  
გან ყურადღება მიუქცეს. არა  
გვერია, რომ ეს ხელოვნური პო-  
ემა სადმე არ აღმოჩნდეს. ერთხა-  
ნად ამ პოემის მოაზრებისათვის ზო-  
გი ერთებმა გამოაცხადეს, შემდე-  
გი: ვინც „საგანე გმირთა“ ძველს  
ხელთ ნაწერს აღმოაჩენს, იმას 100  
მ. მივსცემთ.

— გაფრთხილება გზა-ქუჩა. სა-  
შინელს გარემოებაშია თურმე ნა-  
ვთლულისკენ მიმავალი თფილისის  
გზები, ნამეტურ ორთაქალის პირ-  
დაპირ, ტყვრის ნაპირას, კაცს და-  
მე, ბნელაში სულ არ გაეღებება,  
რადგანაც მრავალ ალაგას ადგი-  
ლებში ჩახრამულებია და ხრამები  
პირდაპირ მტკვრისაკენ მიიწვეს;  
კაცს რომ ფეხი ასცდეს როგორმე  
და ჩავარდეს, თავს ვეღარ იხსნის.

გზაზე არსად სახლი არა სდგას,  
არსად ფანარი არ ანთია, მგზავ-  
რთა რიცხვი ყოველთვის დიდია.  
ლამე აქეთ სიარული სრულიად  
შეუძლებელია.

\* \* \* მეთამბაქეთა კრება, კავკა-  
სიის საიმპერ. სასოფლო სამეურ-  
ნეო საზოგადოებათ მიწად-მოქმე-  
დების ღირებულებისაგან მიიღო  
შემდეგი შინაარსის ტელეგრა-  
მა: „მიწად-მოქმედების მინისტრი  
სთხოვს საზოგადოებას გამოგზავ-  
ნოს წარმომადგენელ მეთამბაქოე-  
თა კრებაზე დასასწრებლად ფი-  
ნანსთა სამინისტროში 28 აპრი-  
ლისათვის.

\* \* \* ფოთი. „ალექსის“ გეგმა  
მოძიებად უბედურების გამო. ფო-  
თის ქალაქის საბჭოს უკანასკნელ  
ხსენებზე, სხვათა შორის, განხი-  
ლულ იქმნა ხმოსანის მ. მენდლის  
განცხადება გემის „ალექსის“ მგზა-  
ვების დაღუპვის გამო. ქალაქის  
მოურავმა ნ. ი. ნიკოლაძემ ენერ-  
გიულად დაუჭირა მხარი განცხა-  
დებას, ნათლად განმარტა ყველა  
დაწვრილებითი ცნობები უბედუ-  
რების შესახებ და დასასრულ სთხო-  
ვა საბჭოს შემდეგ წინადადებათა  
დამტკიცება: 1) რადგან ფოთის  
პორტს ჰყავს გემების ოფიციალუ-  
რი გამძღოლი (ლოცმანი) იმ შე-  
მთხვევებისათვის, როცა გემების  
კაპიტანებმა არ იციან ზღვის ად-  
გილების ამბავი და პორტში შე-  
მოსვლის პირობები, ამის გამო  
თუ ზღვაონობისა და ვაჰარ. რუს.  
საზოგ.—ის კაპიტნები ვერ გაბე-  
დავენ რაიმე მიზეზის გამო პორტ-  
ში შემოსვლას, შეუძლიათ დაიხ-  
მარონ ხსენებული ლოცმანი, ან  
და გვერდით აუარონ პორტს  
და მეორე რეიდზე მგზავრების  
გადასხმა ფელუგებში უთუოდ აღი-  
კრძალება და შეიძლება მხოლოდ  
ისეთ ორთქლის გემზედ, როგორც  
არის „ბაბუშკა“. რაც შეეხება  
უბედურ შემთხვევისათვის „ზღვე-  
ვინებას“, ან კიდევ ამ საზოგადო-  
ების კაპიტანების ალაგმვას“ და  
აგრეთვე მისი გამგეობისას, რო-  
მელიც უყურადღებოდ სტოვებდა  
და სტოვებს ფოთს, როგორც  
პორტს, საიდანაც ამ საზოგადო-  
ებას 30 ათასი მანეთი აქვს შემო-  
სავალი მარტო მგზავრთა ბილე-  
თების გაყიდვით, ამის საშუალება  
გვაქვს: დღევანდელმა საბჭომ და  
გამგეობამ კარგად იცის თავისი  
უფლებანი და გამოუყენებს მათ  
ზ. და ვ. რ. საზოგადოების უფ-  
ლებათ მოსილ-მოიჯარადრეს შე-  
სახებ, რომლის საზოგადოებაც  
თავის დროზე იძულებული შეიქ-  
მნება გამგეობის წინადადება მიიღოს  
ან დასცალოს მისთვის დათმობი-  
ლი ადგილები. ეს წინადადებანი  
ერთხმად მიღებულ იქმნა („ნ. ო.“)

**\* ბათუმი.** საბასტე, ჯაგა-  
 ლეა. ართვინის გზაზე, ბახტაძის  
 ბაღის ქვემოთ იყიდება მიწები.  
 ფასად საყენი ექვსი შაურიდგან  
 დაწყებული. აქ, თურმე, მეტად  
 კარგი ნიადაგია. საკვირველი ის  
 არის, რომ ჩვენი ხალხი ამ ადგი-  
 ლებს ყურადღებას არ აქცევს და  
 აქ მიწებს უიღბლოდ სპარსელებს  
 და აშენებენ ბაღებს, მოჰყავთ  
 მწვანეხეივანი, კარტოფილი, კომბოს-  
 ტო, სტაფილო, ქარხალი და სხვ.  
 სასურველია, რომ ამ ადგილებს  
 ყურადღება მიაქციოს ჩვენებურმა  
 ხალხმა, მით უმეტესად, რომ, რო-  
 გორც ვიცით, მიწა ძლიერ ნო-  
 ყიერია და მემამულეს ბევრი შრო-  
 მა არ დასჭირდება.

**\* ს. ბახვი (გურია).** სკოლის  
 ამაჟა. მალე შესრულდება 2<sup>ე</sup> წე-  
 ლიწადია ბახვის სკოლის დაარსე-  
 ბის შემდეგ. რომელიც დაარსა  
 წანსვენებულმა ეპისკოპოსმა გაბ-  
 რიელმა და რომელიც სამაგალითო  
 სკოლად ითვლება მთელს ოზურგე-  
 თის მაზრაში რომელიც მოთავსე-  
 ბული იყო ვიწრო და შეუფერებელ  
 შენობაში, ეკლესიის ეზოში. ამ  
 ეჟამდ მალე დამთავრებულ იქნე-  
 ბა სკოლის ახალი ორ სართული-  
 ანი შენობა, მთელი ქვედა სარ-  
 თული კლასებისათვის იქნება და-  
 თმობილი. ზედა-კი დანიშნულია  
 მასწავლებლისათვის, რომელთა რიც-  
 ხვი ამ სკოლაში ხუთია: ერთი  
 ასწავლის საღმთო წერილს, ორი  
 სხვა დანარჩენ საგნებს, ერთი სპე-  
 ცილისტი აგრონომია და ერთიც  
 კიდევ დურგლობას ასწავლის. სკო-  
 ლას აქვს ყოველწლივ 2,524 მან.  
 ხაზინა უზგანის 1,100 მან.; იმ  
 თანხის პროცენტები, რომელიც  
 შესწირა განსვენებულმა ეპისკო-  
 პოსმა გაბრიელმა, შეადგენს 744  
 მან.; დანარჩენ 680 მანეთს იხდის  
 ბახვის სოფლის საზოგადოება.

**\* დანდა (აფხაზეთი).** უსა-  
 დაბათ გაძარკულანა. როგორც  
 წინად გვქონდა მოხსენებული, კო-  
 დორის დიდი ხიდი ჩაინგრა გასუ-  
 ლი წლის შემოდგომაზე. ახლა ამ  
 ხიდის გაკეთება ნარდათ აქვს აღე-  
 ბული ვილაც ბერძენს, მაგრამ ჯერ  
 კიდევ ჩანგრეული ხიდის წყლიდამ  
 ამოღება ვერ მოუხერხებიათ და  
 გაკეთება ორ წლამდის თუ გველი-  
 რსა, ისიც დიდი ღვთის წყალობა  
 იქნება. მანამდე-კი ნავით გაჰყავთ  
 ხალხი, მაგრამ ამ საქმის მოთავეთ,  
 სოფლის ბატონ-პატრონთ, სახეში  
 არ მიუღიათ სოფლების სიღარი-  
 ბე, არ ჩაუხედნიათ გლეხების ჯი-  
 ბეში და თითო გაყვანის ფასი  
 ორი შაური დაუნიშნავეთ. ეს ფასი  
 მეტად ძვირი არის და აუტანელი  
 უფრო სოფლის ხალხისათვის, მა-  
 გალითად, გლეხს კოდორის გაღმა  
 მიწა აქვს საშუაო და ყოველ გა-  
 სვლა-გამოსვლაში თუ აბაზი იხადა  
 საბრალოდ, მისი მთელი წლის მუ-  
 შაობისაგან შემოსავალმა მარტო  
 ნავის თუ ბორნის ქირა თუ გაას-  
 წორა, თორემ მეტი აღარა დარჩე-  
 ბარა.

ძლიერმა კოდორმა უკან დააქანა  
 გამყვანი, საბრალო ქალმა მორთო  
 გულ-შემზარავი წივილ-კივილი და  
 ცოტას გასწყდა კინალამ უფეშქა-  
 შა აფხაზმა ქალი კოდორის წყალს.  
 ნუ თუ არავინ აღმოჩნდება ქრის-  
 ტიანი, რომ ყურადღება მიაქციოს  
 ამ საშუაბრო მოვლენას და გაყ-  
 ვან-გამოყვანის საქმე გააადვილოს?  
 Humanus

**\* ს. ბაზი (იმერეთი).** სო-  
 ფელს გაწყვეტა სკარაა. მადლობა  
 ღმერთს, ცოტათ მაინც არის ვე-  
 ლირსეთ გზის გაშრობას, ამ გა-  
 ზაფხულზე ჩვენი გზების გადაკე-  
 დე ქეშმარიტათ მოსალოდნელია  
 უზიფათოდ გადაჩენისათვის. გან-  
 საკუთრებით კოპიტნარიდგან გაღ-  
 მართისკენ, საჩინოს და სხვა სო-  
 ფლებში, ბევრს გადახდან უბედურე-  
 ბა ამ გზაზე. დიახ, გზები გაგვიშ-  
 რა და არ შეგვიძლია მიმოსვლა ამ  
 ყველასგან მოძულებულ გზაზედ,  
 მაგრამ ეს გაზაფხულიც უფრო  
 გვაშინებს, როცა ჩვენი სოფლის  
 უწმინდურებას წარმოვიდგენთ! შა-  
 რშან ღმერთმა დაგვიფარა და გა-  
 დავრჩით მოულოდნელ ქირს, წრე-  
 ულსაც ეს გვაშინებს, ხოლო თუ  
 სოფლის სანიტარებმა თვალ-ყური  
 დაიჭირეს, იმედია, სოფელი გაი-  
 წმინდება და არავითარი სენი და  
 ქირი არ გვესტუმრება.

**\* სამეგრელო.** აღუბაჟის  
 გამო. ისედაც უილაჯო მეგრე-  
 ლები კიდევ უფრო ილატავენ  
 თავს სხვა და სხვა გვარი დღეო-  
 ბების შემწეობით. გათენდება თუ  
 არა, რომელიმე დღეობა, მთელი  
 სოფელი დიდ ფაცა-ფუცშია. პა-  
 ტიკებს სტუმრებს ისეთი გლეხი,  
 რომლისთვის არა ერთხელ წაურ-  
 თმევიათ ფოსტის ფულის უქონ-  
 ლობისთვის ხარი, ცხენი, ძროხა  
 და ან ქვაბები. თუ თვითონ არა-  
 ფერი მოეძეება, იღებს ვალს 50  
 პროცენტით. რაც ასეთ შემთხვე-  
 ვებში უთავბოლოდ ფული იფლა-  
 ნდება, რომ გონივრულად იხმარე-  
 ბოდეს, ვინ იცის, რამდენი სასა-  
 რგებლო საქმე გაკეთდებოდა. ავი-  
 ლოთ მაგალითი: ს. ხინდრაფას  
 და ნაჯახოვუს იმართება კვირაც-  
 ხოვლობის წინა დღეს დღეობა  
 „სოფიობა“. სტუმრები მრავალ  
 დაბა სოფლებიდან გროვდებიან.  
 ეს დღეობა დადებულია ერთს ხი-  
 ნდრაფას ქალისგან, რომელსაც  
 სახელად ერქვა სოფიო; ამ სო-  
 ფიოს ავად გახდომია შვილი და  
 შევედრებია ადგილობრივ მთავარ-  
 ანგელოზის ეკლესიას, თუ შვილს  
 მომირჩენ, ყოველ წლივ შემოგწი-  
 რავ თითო ხარსაო. აი აქედან  
 დარჩენილა ეს დღეობა. ამ დღე-  
 ობაზე, სულ ცოტა, სამი ათასი  
 მანეთი მაინც დიხარჯება. ეს ამ-  
 დენი ფული რომ შეეწირა ადგი-  
 ლობრივ სკოლისთვის, სწორედ  
 აყვავდებოდა ეს უკანასკნელი,  
 რომელიც დღეს ძლივს ბოგინობს.  
 ამავსე თავი დავანებოთ. ისე არ  
 გაივლის ადგილობრივი დღეობა,  
 რომ ღვინისაგან გათოშილმა კა-  
 ცებმა ერთმანეთი არ დაამახინჯონ.  
 II აპრილს ჩვეულებისამებრ დღე-  
 ობა იყო, მაგრამ ვაი ამისთანა  
 დღეობას. შემდეგ ბურთაობისა  
 შეიქმნა ერთი უშველებელი აღი-  
 აქათი და ყვირილი. დარეოდნენ

ერთმანეთს ხანჯლით, ჯოხით,  
 ხმლით და ვინ იცის რა ნაირად  
 იბრძოდნენ ერთმანეთ შორის,  
 რომ შეგხედნათ, იტყოდით, აღა-  
 მაჰმად-ხანი შემოსევია თავის ჯა-  
 რით საქართველოსო. ბოლოს შეი-  
 ქმნა აქა იკრეოლვერების გრიადი.  
 მარტიული

**\* ს. საპილაშვილი (იმერეთის  
 და სამეგრელოს საზღვარს შუა).**  
 მქამუღელთა კარასა. ჩვენებური  
 მემამულე თავადი თუ აზნაური  
 ასში ძლივს ხუთიოდე თუ იქნება  
 სამსახურში, საიდგანაც ცხოვერ-  
 ბის სახსარი ეძლეოდეს; დანარჩე-  
 ბი კი მისჩერებია რაღაც ორიოდ  
 დე ქცევა ადგილის მოსავალს და  
 მითი სურთ მოიბრუნონ სული.  
 თავიანთ მიწას ესენი იჯარით აძ-  
 ლევენ აქაურს უმაჟლო გლეხებს,  
 რომლებიც მუშაობენ ამ მიწაზე  
 და მოსავლის მესამედს აძლევენ  
 ადგილის პატრონს, ის კი ფიქრა-  
 დაც არ მოსდის ჩვენებურ მემამუ-  
 ლეს, რომ ადგილს განაყოფებდა  
 ესაქიროება, რომ ზედ უფრო ბე-  
 ვრი მოსავალი მოვიდეს. ამიტომ  
 ადგილი მოიღალა, სინოცივრე  
 გამოვლია და წინედ რომ 80 ფუტს  
 იძლეოდა, ახლა ძლივს 15 ფუტ  
 სიმინდს იძლევა 1 ქცევა ადგილი.  
 ამის გამო გლეხებმა თავი დაანე-  
 ბეს მათ ადგილზე მუშაობას და  
 ზოგმა სხვა და სხვა საქმეს მოკი-  
 და ხელი, ზოგმა უკეთესი მოსა-  
 ლიანი ადგილი მონახა სამეგრე-  
 ლოში როინის პირად. დარჩენ  
 ხელ-ცარიელნი ჩვენი მემამულენი  
 და შიშობილიც შეებარათ ოჯახში.  
 მალე ბრძოლა მათს გულსა და  
 კუქს შორის ნამეტნავად გამოწვი-  
 და და რა ხრიკს მოკიდეს ხელი:  
 ამ აღდგომის უქმეებზე რამდენმა-  
 მე ჩვენმა მემამულემ, გვარად კო-  
 რძაიებმა თავიანთს, თუ სხვის მა-  
 მულში, რაც მობალახე საქონელი  
 ნახეს, ყველა დაიჭირეს, თითქმის  
 500 მდე და პატრონს თითოულს  
 სულზედ 50 კაპეიკს ახდევინებ-  
 დნენ. როცა გლეხები ეკითხებო-  
 დნენ რას გვერჩითო, ისინი ასეთ  
 პასუხს აძლევდნენ: ჩვენს მიწაზე  
 იმუშავეთო. ვურჩევთ ბბ. კორძა-  
 იებს, რომლებმაც საქონელი დაი-  
 ქირეს, თავიანთ მამულს უშველონ  
 რამე და გაანაყოფონ ისე, რომ  
 ზედ კარგი მოსავალი მოვიდეს,  
 თორემ ვერავითარი ხრიკით ისინი  
 მშვიერ კუქს ვერ გაიძღობენ, რა-  
 დგან ამის შემდეგ არც არავინ  
 იმუშავენს ისეთს ადგილს, რომე-  
 ლიც შრომის მეთავედ ფასადაც არ  
 ღირს.

**\* ს. მატანი (კახეთი).** კუთა-  
 ლა მასწავლებლას სხსსოვარა. ხუ-  
 თი წელიწადია ს. მატანში არსე-  
 ბობს ერთ-კლასიანი სამრევლო  
 სკოლა; დაარსებიდან დღემდის აქ  
 მასწავლებლად იყო ვლ. ხელაშვი-  
 ლი; მარტში ბ-ნი ხელაშვილი გა-  
 დაყვანილ იქმნა თელავის სასუ-  
 ლიერო სასწავლებელში. მისმა გა-  
 დაყვანამ მატანელები საშინლად  
 დააღონა და შეაწუხა. თვალეში  
 ცრემლ-მორეული ხალხი და შე-  
 ირდები ტირილით აცილებდნენ  
 თავიანთ მასწავლებელს.  
 რითი დაიმსახურა ბ-ნმა ხელა-  
 შვილმა ხალხს ამგვარი სიყვარუ-  
 ლი და პატივისცემა? ამითი, რომ

იგი ჰხედავდა-რა ხალხის სიბნელე-  
 სობრივეს, ხნობრივ დაცემას და  
 უპატრონობას, სკდილობდა გამო-  
 ეფხიზლებინა და ცნობიერებაში  
 მოეყვანა ხალხი და გაეწია პატ-  
 რონობა, რამდენათაც ეს შესაძ-  
 ლებელი იქნებოდა სოფლის მას-  
 წავლებლისათვის. პატრონობდა  
 და სწამლობდა ავადმყოფებს. მას  
 ყოველთვის ბლომად ჰქონდა ხო-  
 ლმე წამლები, რომლებსაც მუქ-  
 თად აძლევდა გლეხებს. გაქირვე-  
 ბის დროს მატანელი გლეხი თავის  
 მასწავლებელთან მიდიდა რჩევისათვის.  
 მასწავლებელიც და-  
 უხარებლად აძლევდა რჩევას და  
 პშველოდა, რითაც-კი შეეძლო.  
 სკოლაში ბ-ნი ხელაშვილი იყო მუ-  
 ყაითი, ბეჯითი და მშვიდი, ამისა-  
 თვისაც შეგირდებს უყვარდათ თავიანთი  
 მასწავლებელი და მუყაით-  
 თად დაიარებოდნენ სკოლაში.

**მიქაელ-გაბრიელი (გურია).** მას-  
 მასხდასუბას ბუა. ეს რამდენიმე  
 წელიწადია ჩვენს სოფელს გლახა  
 ზნე დასჩემდა: ვერც ერთი მამასა-  
 ხლისი ვადას ვერ ასრულებს (სამს  
 წელიწადს). აირჩევენ, ცოტას მი-  
 ჩაჩქ-მოჩაჩქის“ სოფელს და გა-  
 უდგება მონავალისაკენ. ამას წი-  
 ნად არჩეულიც გაუდგა გზას. კა-  
 რგი საქმეებით თავის გამოჩენა  
 ძნელი ყოფილა. ამ მამასახლისო-  
 ბაში წაღმა ერთი ჩხირიც არ გა-  
 დაბრუნებულა, უკულმა-კი ბევრი.  
 „სამკალი ბევრი იყო, ხოლო მუ-  
 შაკი არც ერთი“. გზები ხიდ-ბო-  
 გირები, სკოლის შენობა, „პარ-  
 ტიების“ შეთანხმება ხელ შეუხე-  
 ბელი დარჩა. ღმერთმა მქმნას ახალს  
 მეტი ფხა გამოჩინოს და ერთ-ერ-  
 თისთვის მაინც ეშველებინოს რამე.

**\* შკაობა,** სადგ, სუფსიდან  
 ჩვენი სოფლის კანცელარიამდე  
 მეტად საქიროა გზა საძაგელ მდგო-  
 მარეობაშია. წამოიწვიმებს თუ არა  
 ზედ გარება შეუძლებელია. დიდი  
 ხანია დრო იყო ამ გზის საერთო  
 ძალით გაკეთება, მაგრამ ჯერ თავი  
 არავის შეუტკივებია. სასურვე-  
 ლია, ეს აუცილებლად საქირო  
 გზა ადრე გაკეთდეს, ყველამ შრო-  
 მა მიიღოს და ერთხელ და სამუ-  
 დამოდ აიცილონ თავიდან ყოველ  
 წლობით უგზობით გამწარება.  
 ერთს აქაურს მებატონეს ოთხს  
 აპრილს ცხენები დასჭირდა. და-  
 აქერინა თავისიანებს გლეხების  
 ცხენები და საღამომდე ბოლი აღი-  
 ნა ზურგზე. ამათში, თურმე, ერ-  
 თი სახელმწიფო სამსახურში მყო-  
 ფი მასწავლებლის ცხენიც რევია.  
 ბატონ-ყმობა გადავარდნილი გვე-  
 გონა, ჩვენს მებატონეს ეს ჯერ  
 ვერც კი შეუტყვია!

**\* დ. ზმსტაფონი.**  
 — სამკათხვლას საქმე. აგრე-  
 თვე აუცილებელ საქიროებას შე-  
 ადგენს ზესტაფონლებათვის წი-  
 გთ-საკავ-სამკითხველო“, რომლის  
 ნება-რთვას კი ხანია, რაც მო-  
 ველით, მაგრამ ის დალოცვილი  
 არ იქმნა, არ მოვიდა და არა. ნე-  
 ტავ ვიცოდეთ, რა აბრკოლებს.

რა აბრკოლებს? ეჭვითაა, რომ  
 ტონო. რა აბრკოლებს, რა იქნება  
 დევრობა.

**\* ზსტაფონი.** დაუდგე-  
 რობა, ზესტაფონლებმა, არამც  
 თუ მარტო ამათში გამოიჩინეს  
 არამედ საშვილისშვილო საქმეში-  
 დაც-კი, როგორც არის მაგალი-  
 თად სასწავლებლების გახსნა. ხში-  
 რად ამოგვიკითხავს ხოლმე გაზე-  
 თებში და თვით ზესტაფონშიაც  
 გამიგონია ხოლმე, რომ ის 1200  
 მანთამდე, რომელიც ბაზარს ხე-  
 დება, ბაზრისავე გასაწმენდათ.  
 (თუმც სუფთათ ბაზარი არასო-  
 დეს არ ყოფილა) გადავდოთ ხო-  
 ლმე ყოველ წლიურად, რომელი-  
 მე სასწავლებლის დასაარსებლათ  
 და ბაზრის სუფთათ შენახვა კი  
 ჩვენ, ჩვენთავე მივიღოთ, მაგრამ  
 რა გგონიათ, ვითომც ამ საქმეს  
 ააუძლევნ წინ? სრულიადაც არა,  
 რადგანაც მკირე გუნდთა ხმა  
 უმრავლესობამ დასტოვა უყურა-  
 დებოთ და ისევ ისე თავიანთი  
 „ზესტაფონური“ ლელო გაიტანეს.

**\* უძველესი გვესტაფონი** ლელო  
 ხომ მარტო ზესტაფონელებს არ  
 გააქვთ, არამედ ზესტაფონელებზე-  
 დაც გააქვთ აქაურ ძალა მექონე  
 პირთ. ზესტაფონელებს აყენები-  
 ნებენ ვგრედ წოდებულ ბაზრის  
 „ყარაულებს“, რომლებიც ბაზარ-  
 ზედ უფრო თავიანთ მუცელს ყა-  
 რაულობენ. ზესტაფონელები კი-  
 დევ იმდენს არ ინაღვლიდნენ,  
 რომ მათგან გამოდებული საყა-  
 რაულო ფულით, იმისთანეებს მა-  
 ინც იყენებდნენ ყარაულად, რო-  
 გორც მათ სურთ და რომელნიც  
 რამე ვარგანან, თორემ... ეჰ მა-  
 ხლას ნათქვამია ძალა აღმართსა  
 ჰხნამსო! ერთი ვილაც ფრხთლი  
 ყარაულია, რომელსაც სტარში  
 ყარაულს ეძახიან, და რომლისა-  
 თვის დაუნიშნავთ ჯამაგირად, და-  
 ნარჩენებზედ მეტი შვიდი მან თვე-  
 ში, რაც წელიწადში შეადგენს  
 (7 X 12) = 84 მანეთს, ეს ფული  
 ყოველ წლიურად რომ გადაიდვას  
 ხოლმე, რამდენიმე წლის შემდეგ  
 ბაზარს შეეძლება იქონიოს „ცე-  
 ცხლის საქობი მანქანა“. ღმერ-  
 თმა ნუ ქნას, თორემ ცეცხლი,  
 რომ გაჩნდეს ბაზარში, მის გასაქ-  
 რობათ არასფერა ხელსაწყოში არ  
 მოეძებნებოთ, ამავსე აღმანისტრა-  
 ცია ყურადღებას არ აძლევს და  
 ზესტაფონელებს კი შიშის გამო  
 ვერა გაუბედნიათ-რა.

**\* ფოთი.** აქაურა ყვავახნებისა  
 შეკეა. ამას წინად მოკლედ მქო-  
 ნდა მოხსენებული „ცნ. ფურცელ-  
 ში“, თუ როგორ დაპატრონებია  
 აქაურ მცხოვრებთა უმეტეს ნაწი-  
 ლის გონების განვითარებას ყავა-  
 ხანები და სამიკიტნობი, მაგრამ  
 ეს მოხსენება მეტად მკირე გამო-  
 დგა შედარებით აქაურ მოქმედე-  
 ბასთან.

მე არ შევუდგები დაწვრილებით  
 აქაური ყავახანების მოქმედებას,  
 მხოლოდ აღვნიშნავ, რომ არა მგო-  
 ნია რომელიმე გამოჩენილ საწარ-  
 მოო ქარხანას, ან დეპოს ჰქონდეს  
 ისეთი მუშაობა, როგორიც აქვთ  
 აქაურ ყავახანებს. აქაურ ყავახანებ-  
 ში რომ შებრძანდეთ, თუ შეჩვეუ-  
 ლი არა გაქვთ ყური, იძულებული  
 გახდებით ნამეტნავი ხმარობისა-  
 გან, უკანვე გამობრუნდეთ.

ყავახანების ასე გაძლიერების მიზეზად ბევრი რამ შემოიძლიან დავასახელო, ხოლო ერთ უმთავრესს მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ აქაურ მცხოვრებლებს არ მოეპოვებათ, ერთი რომელიმე ისეთი დაწესებულება, რომელითაც შეეძლოს თავისუფალი დრო გონების ვარჯიშობას მონადრომს და არა ყავახანებსა და სამიკიტნობებს: მით უმეტეს, რომ აქაურ ახალ-გაზდობას ბევრი აქვს თავისუფალი დრო, მაგრამ საქმე ის გახლავს, რომ ეს დრო ისეთ რასმეებს ხმარდება, რომ უმჯობესია სულ არა ჰქონდეთ... გაათავებენ თუ არა სამსახურს, იმე ვუთხუნდა მიაშურონ ყავახანებს (ან კი სად უნდა წავიდეს?) და უნდა გაატარონ დრო უშედეგოდ, ან ბილიარდზე, ან ნარდზე, ან კიდევ ღამინობაზე თამაშობით, რომლის დროს მომგებიც და წამგებიც, ორივე წაგებულიად უნდა ჩაითვალოს...

მართლაც და ძლიერ დაცემულია დღეს ამ მხრივ ფოთი. წარმოიდგინეთ სანთლით, რომ ეძიოთ, ერთს რაიმე დაწესებულებას ვერ იპოვით, რომ გონების განვითარებას შეეხებოდეს, აქ ისე გადის წელიწადი თორმეტი თვე, რომ შეიძლება ორჯერ წარმოდგენა, ან სალიტერატურო საღამოც არ გაიმართოს, მაგრამ ყველა ამებს რომ თავი დავანებოთ, ერთ დიდ სირცხვილად ესეც უნდა ჩათვალოს ფოთელებს, რომ ერთ სახალხო სამკითხველოს დაარსებაც ვერ მოუხერხებიათ.

ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ ერთად ერთი ღირს შესანიშნავი ყავახანა გახლავს, რომლის მხარეს ბულვარის თავში, სადაც დიდებთან ერთად პატარა ბიჭებიც ეჩვენებიან თამაშს. ამ ყავახანაში ყოველთვინ ნახავთ 16-17 წლის ბიჭებს, რომლებიც უმეტესი ნაწილი ოჯახში მოსამსახურებრიდან შესდგება. ეს პატარა ბიჭები იშვინიან დროს თუ არა, იმე ვუთხუნ მიზნიან ხსენებულ ყავახანაში, დაიდგამენ წინ ნარდს და გასძახიან; „დავბასე“ და „დავბახარის“ ეჩვენებიან თამაშს და ბოლოს დროსაც აღარ უყურებენ, ამით ჰკარგავენ ალაცს, ვერც სხვაგან დგებიან, რადგანაც შრომაზედ გული ავარდნილი აქვთ და ცვივდებიან მუდამ იმ უფსკრულში, რომლიდანაც თავის დახწვევა მეტად ძნელია. ავკაცობა, ქურდობა, გარყვნილობა და სხვა. მაგრამ თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, მაშინ იმედია ერთი ორად იმრავლებს.

საქირო-კია, მე და ჩემმა ღმერთმა რომ ფოთელებმა ცოტათი გამოიფხიზლონ, მაგრამ უფრო საქიროა აქაურმა ადმინისტრაციამ სასტიკი ყურადღება მიჰქციოს ისეთი ყმაწვილების ყავახანებში და სამიკიტნობებში თამაშს და ყავახანების პატრონებსაც აღუკრძალოს, რომ იმათ არ მისცენ თამაშის ნება, რითაც დიდ სამსახურს ვაუწყებს და საზოგადოებას და თვით გზა დაკარგულ ახალგაზდობას.

თავისუფალი

**არქიმანდრიტის ლეონიდის სახელ-წოდების აღსასწაული.**

გუშინ-წინ, 17 აპრილს, პირველ საათზედ შესრულდა სახელწოდება არქიმანდრიტის ლეონიდესი ეპისკოპოსად. თერთმეტ საათიდან ხალხმა დაიწყო დენა ექსარხოსის სასახლის ეზოში, განსაკუთრებით სამღვდლოებამ, მაგრამ არა ნაკლებ იყო სხვა საზოგადოებაც, რომელიც სასოებით მოელოდა ამ დღესასწაულის ხილვას. ჯვარის ეკლესია თორმეტს საათზედვე აივსო ორსავე სქესის კაცთაგან; პირველის ნახევარზედ გაივსო დარბაზი ექსარხოსის სადგომისა, რომელშიაც ეკლესიიდან არის გასავალი, და მამაკაცთა საზოგადოება გავიდა დარბაზში, ხოლო ქალთა საზოგადოება დარჩა თვით ეკლესიაში. დარბაზში იდგა გრძელი მაგიდა, გარს ედგო ოთხი სელი, ორი მარჯვნივ და ორი მარცხნივ. მარჯვნივ ბრძანდებოდნენ ყოვლად უსამღვდლოესი ფლაბიანე, ექსარხოსი სრულიად საქართველოსა და ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი ალექსანდრე ხოლო მარცხნივ ყოვლად უსამღვდლოესი ვლადიმირი, ეპისკოპოსი კავკასისა, და იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი. სადღესასწაულო ცერემონია დაიწყო ამ რიგად: შეიმოსნენ ოთხივე ყოვლად სამღვდლონი მანტიებით და დაიჭირეს თავ-თავისი ადგილი. ჯვარის ეკლესიიდან გამოვიდნენ ორი არქიმანდრიტი მანტიებით მ. სერაფიმე, რექტორი სემინარიისა, და კესარიოსი, ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი მას შემდეგ ეკლესიიდანვე გამოვიდნენ დეკანოზნი: ელიფი და მანსვეტაშვილი, თავიანი სცეს კრებას, ლოცვა-კურთხევა მიიღეს, შემბრუნდნენ და შემოიყვანეს არქიმანდრიტი ლეონიდე, რომელმაც კურთხევა მიიღო ექსარხოსის ფლაბიანესი და ყველა მღვდელ-მთავართა და ჩადგა მ. სერაფიმეს და კესარიოსის შუა, უკან ჩამოუდგნენ გსენებული დეკანოზები. მაშინ სინოდის კანტორის იმერეთის განყოფილების მდივანმა ს. მგალობლიშვილმა წაიკითხა უმაღლესი ბრძანება არქიმანდრიტის ლეონიდეს ეპისკოპოსად დანიშნვისა და გადასცა მეორე საპასუხო ბრძანება, რომელიც მ. ლეონიდემ ზეპირად წარმოსთქვა.

ბრძანების წაკითხვის შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ მცირე მშვილობიანი წარმოსთქვა, ხოლო საგალობლებს ყოვლად სამღვდლონი ამბობდნენ ნელად, ხმა ტკბილად, და შეწყობილად.

ამ მცირე ლოცვის შემდეგ, რომელიც ფეხზედ წამოდგომით შესრულდა, მთავარ-ღიაკონმა სინოდის კათედრისამ მ. კონსტანტინე კარგარეთელმა მშვენიერის კილოს მიმოქცევით, რომელშიაც ძლიერება ხმისა შერთული იყო მის სინარ-ნარე-სიტკბილესთან, წარმოსთქვა მრავალ-ჟამიერი ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატორისა, დედისა მათისა, მემკვიდრისა, უწმიდესის სინოდისა და ახლად ეპისკოპოსად სახელწოდებულის არქიმანდრიტის ლეონიდესი. დასი ექსარხოსის მგალობ-

ლთა მწყობრად იმეორებდა მრავალ-ჟამიერსა და ლეონიდეს ხსენების დროს ქართულად სთქვეს მრავალ-ჟამიერ.

გათავდა ლოცვა, შეჩერდა ზრიალი მთავარ-ღიაკონის დიდებულის ხმისა, დარბაზი სმენად გადაიქცა. და აი ეს სიჩუმე განაპო ტკბილმა, გრძობით აღსავსე სიტყვამ მ. ლეონიდესამ, წარმოთქმულმა მშვენიერის რუსულის ენით. დაწყებიდანვე სიტყვისა თითქმის ყველა მსმენელს თვალში ცრემლი მოადგა. განსაკუთრებით საგრძობელი იყო სიტყვა მ. ლეონიდესი ექსარხოსის მიმართ, რომელსაც მიანლო თავი თვისი, როგორც პირუთენელ, ღრმად განსწავლილ, და ბრძენს ყოვლად უსამღვდლოს; ხოლო უაღრესი გავლენა იქონია მისმა ღრმა, სიყვარულით და უმაღლესის მადლობით აღსავსე სიტყვამ მსცოვანის ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიმართ- რომელიც არის მკვიდრი ბიძა მ. ლეონიდესი. („ივ“.)

**\* \* არქიმანდრიტის ლეონიდას სახელწოდება ექსარხოსისად.** 17 აპრილს ნაშუადღევს 1-ლ საათზე ექსარხოსის სადგომში სახელწოდებულ იქმნა ეპისკოპოსად არქიმანდრიტი ლეონიდე. სახელწოდების წესი შეასრულა მალაყოვლად-უსამღვდლოესმა, საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ; კავკასის ეპისკოპოსის ვლადიმირის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს და დროებით იმერეთის ეპარქიის მმართველის ბესარიონის მონაწილეობით. სახელწოდებას აუარებელი საზოგადოება დაესწრო. უმაღლესი ბრძანების წაკითხვის შემდეგ, ახლად სახელწოდებულმა გამოსთქვა, რომ უწმიდესი სინოდის წარდგენასა და თვითმპყრობელის განკარგულებაში ის ჰხედავს მწყემს-მთავრისა და ჩვენის მხნელის ქრისტეს ნებას, მოკრძალებით იხრის ქედს ღვთის განგების წინაშე და გულითადი მადლობით და მოწიწებით არის აღესილი.

როცა სახელწოდების წესი სრულიად დამთავრდა, ახლად სახელწოდებულმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. მოგვყავს ამ სიტყვის შინაარსი მოკლედ.

ბავშობიდანვე, სთქვა ახლად სახელწოდებულმა, მტკიცედ მრწამსად, რომ აღმთავის ბედ-ილიანს უფალი განაგებს. ეს ჰქმნარაქცა მე შუადამ ხსენებდითა მქონდა გონება და განსაკუთრებით კი ამ წუთს არის ავი ჩემში ცხოვრად, რადგან მე, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა დარსი გავხდა უმაღლესი საეკლესიო მისხურების ხარისხისა. მრავალი ჩემი წინაშეა ეკლესიას ემსახურებდა და მე დავბავდე ისეთ ოჯახში, სადაც მე დრმად შევითვისე ქრისტიანული კეთილ-მისხურების გრძობა და სადაც მამაჩემს ღვთის ტაძარში სიარულს, მოწიწებით დგომას, გადმას და კითხვას, და სხვაში კი წმიდა ეკლესიურ წესების ასრულებას. შემდეგ როცა მე წლის ექვსწავლია სკოლაში მამაჩემს, იქვე გამიხდა კეთილი მთავრული და ვიმეორებდი ამ ჩემი მანათესავის წმინდა მამის გავლენის ქვეშ, რომელიც

დედსაც მნათობია ქრისტეს ეკლესიას. ეს წმიდა მამა შეიქნა ჩემ მეორე მთავრად და მან კიდევ უფრო განმეცხოვრება მართლ-მადიდებელ ეკლესიის სიყვარული და ის სურვილი, რომ მეც გავმხდრეაქვი ეკლესიის მისხური. მაგრამ რადგან მსურდა, რაც შეიძლება, უფრო სიყვარულით უთვალაო ჩემი მამისხური ამ ასწარეზე, ამას გამოადგინე ამ სურვილითაც, რომ მიმეღო უმაღლესი განათება. ამისრულდა სურვილი, შევედი კიევის აკადემიაში და იქვე ისეთი ღვთის-მისხური უფროსები გამიხდნენ, რომელთა ცხოველმყოფელ გავლენის ქვეშ მე სრულიად წარმ-შეგნებულად გადავწყვიტე მიმეღო მანახნობა და კიდევ ავადგეგეცო. ხოლო მან უფლად-მოწყალო შეცვივმა მამამ, გამოწია მე სულმდგომად აკადემიიდან გამსვლადს შემდეგ, მისი ბრძნული განგებით შეწყდად მხვდა ბუღაქია ხუდარი აღმდგინა ცხოველი ღვთის სიტყვით ჩემი მანათესავე კავკასიონის მთავის მცხოვრებნი და გამეწია სულმდგომად სულამა მათი შეიღების ქრისტიანულ აღზრდისთვის, ხოლო ამ მოვალეობის ასრულებამ დამახალგავე შემხარდა და შემსწავლა ამ ხალხის სულიერი არსება, რომლის სასამსახურად ტაქეული ვარ ამ უმად უმაღლეს თახამდეობაში თვითმყვრებლადს ბრძანებდა. მე ნათლად გხედვ; რომ ჩემ ძალდხნეს აღმეტყუას ეს თახამდეობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ვამბოუარს ამ მამე ტვართის ზიდავზე, რადგან ეს თახამდეობა მე უმაღლესი ბრძანებით მამეხდა. უმაღლესი უფალს, რომ მან მარტოუხს სასახური სასამბლად და ნანებო ქვეყანაში, ამ ქვეყანაში, რომელიც ძველადანვე ცნობილია ქრისტეს წმიდა მადგურების შეურყეველ მამხრედ და მწვალებლობის და ცრუ მომდგომისაგან სრულიად თავისუფალ ქვეყანად. დასასრულად. ახლად სახელწოდებულმა მადლობა შესდგინა შემქმნელს ამისთვის, რომ ბრძენ და გამდგად მწყემს მთავრის სულმდგომადს ქვეშ მარტოუხს სავსისკომოსო სთხვა ეკლესიას დამსწრე მწყემს-მთავრებს და მამებს, შეავადრეთ ჩემი თავი უფალს თქვენს ღმერთში.

**თეატრის მაგიანე**

ხელ ეწვია. „მამაკაცის უფლება“ („la loi de l'homme“).

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა ქართული თარგმანი პოლ ერვიეს პირველი დრამისა les t-nailles-სა („ბრქალევი“). გავიხსენებთ აქ მოკლედ შინაარსს. ქალი გაუთხოვებიათ სხვა-და-სხვა ანგარიშის გამო. უთხოვია ერთს დარდიმანდა და ბრწყინვალე წარმომადგენელს პარიზის ზედა პირით „მშვენიერის“, მაგრამ შიგნი-კი დაქვანებულია და დაზიანებულის უმაღლესი საზოგადოებისას. ამგვარ კაცებს ოჯახი მიანჩიათ საქიროდ ისე, როგორც მებელი რესესანსისა და გინ იმპერიის სტილისა. ოჯახი მრავალ-გვარ სიამოვნებას აძლევს მრავალ-გვარად უზრუნველყოფს კაცს. სწორედ ეგრეთი მებედულებით გამსკვალულს ვაებატონს მებედა ცოლად „ბრქალევის“ გმირი ქალი ირინე. ირინეს გულითა და სულით უნდა შეიყვაროს ქმარი, მაგრამ როგორ, როცა ხე-

ლიდან უხსლტება ყოველ წუთში ერთხელაც არ მიაქცევს „მამაკაცს“ ნურს ყურადღებას და თავისი გულ-გრილობით გულსა და სულს უწამლავს აღზნებულის გრძობებით აღსავსე არსებას. ამ დროს სცენაზე გამოდის ყმაწვილობის მეგობარი ირინესი (მიხეილი), რომელიც უყვარდა ერთ დროს კიდევ. ამისთანა მდგომარეობაში სრულიად კანონიერი მოვლენა იყო, რომ ირინეს ძველმა გრძობებმა თავი გაახსენეს და ხელ-ახლა აუტოკდა გული მიხეილისათვის. ქმარს ემუდარება გაიყარნეთო. ქმარი-კი კანონს მითითებს, კანონით ხელმძღვანელობს და ამ „ბრქალევით“ ჩაიჭერს ქალს. მაგრამ ბუნება თავისას თხოულობს. ადამიანის სულის მოთხოვნილება.

გადის რამდენიმე წელი, ირინეს თმა გათეთრებია, სახე დამანქვია, თუმცა ჯერ კიდევ ყმაწვილი ქალია, მის სახეს, მიხერა-მოხერას, ყოფა-ქცევას ემჩნევა, რომ მწარე ცხოვრებას, ათასგვარ დარდას და ვარამს ღრმა დალი დაუშინეცია მთელს მის არსებაზე. ქმარი-კი ძველებურად „ბრქალევის“ პატრონია და მეტი არაფერი. დრომ მოაწია, შვილი უნდა გაისტუმროს სასწავლებელში. დედა წინააღმდეგება, ავად-მყოფია, სუსტია და არ შეიძლება სხვაგან გავგზავნო, პანსიონში არა ისურს მიესცეო. ქმარი კანონს მიამურებს. ცოლს მეტი აღარა ვარჩენია რა და გამწარებული საშინელს საიდუმლოს შეატყობინებს ქმარს... ეს შვილი შენი არ არისო. ქმარი თავზარდაცემული რჩება, საშინელ მდგომარეობაში ჩაყენებული, ამგვარად ორთავე არსება, რომელთა ბედნიერების შემსუგროს ნება არა აქვს არავის ქვეყანაზედ, ხდებიან მსხვერპლი უაზრო და ხანს გადასული კანონისა. კანონი ბრძანებს და ცოლი იყვეს უნდა ქმართან, რაც უნდა ეზიზღებოდეს და სძაღდეს იგი. თუ იმრუშოს, თუ ჰყავდეს ათასობით საყვარლები; დაე ჩირქი მოაცხოს ადამიანების ღირსებას, იცრუოს, ათასგვარი ინტრიგები გააკეთოს, სიცრუისა და მოდალატეობის ქსელში გააბას ქმარი, შვილი და ძმა, დედა, და ფორპალურად მიანც კიდევ ვერ განზორდება მას. კანონი ბრძანებს და ქმარი ვერ მოიმორებს ცოლს, რომელიც ჩირქსა სცხებს მის სახელსა, მის გრძობას, მის ნდობასა და რწმუნებას. საბუთი, ნამდვილი მოწამე, თავისი საკუთარის თვლით მნახველი მუდლის ბიწიერებისაო, თხოულობს იგი და და თუ ეს ფორპალური სისასტიკე არ იქმნა აღსრულებული უნდა იყოს საუკუნოთ შეკავშირებული და შეჯაქვული ისეთ არსებასთან, რომელთანაც არა გაქვს არავითარი ქვემარტი თვის-ტომობა არც სულისა და არც ხორცისა. გუშინ რუსულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა მეორე პიესა ერვიესი „კანონი მამაკაცისა“ (La loi de l'homme).

